

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და  
უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრის

### დებულება

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება ანუ რეზიდენტურა, მიზნად ისახავს პროფესიულ მზადებას ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაში, პროგრამით დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

დღეისათვის უნივერსიტეტი ახორციელებს ორ სარეზიდენტურო პროგრამას: საოჯახო მედიცინასა და შინაგან მედიცინაში.

უწყვეტი პროფესიული განვითარება (უპგ) უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) მომდევნო პროცესია, რომელიც გრძელდება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მთელი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში.

უპგ მოიცავს ყველა იმ აქტივობას, რომლებსაც ექიმები ახორციელებენ, ფორმალურად და არაფორმალურად, პაციენტების მოთხოვნილებების შესაბამისად, საკუთარი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შენარჩუნების, განახლების, განვითარებისა და გაღრმავების მიზნით.

ექიმის საქმიანობა ემყარება ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ ექიმი უნდა მოქმედებდეს პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, და ამ პროცესში თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი გარეშე არამართებული ჩარევისაგან.

**ცენტრის მისია:** შესთავაზოს ინსტიტუციებს ინტერვენცია მულტიდისციპლინური და ინტერპროფესიული ჯანდაცვის გუნდისთვის, რაც ხელს შეუწყობს მსმენელთა უნარ-ჩვევებისა და პაციენტზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას.

- დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში “უნივერსიტეტი”) დიპლომისშემდგომი

სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრი (შემდგომში “ცენტრი”) შექმნილია დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურა, უწყვეტი პროფესიული განვითარების კურსები), ექიმთა პროფესიული მზადებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანური რესურსების მართვის ხელშეწყობის მიზნით.

- უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ერთდროულად ექიმის პროფესიული მოვალეობა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა. უპგ-ს მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი არის ექიმის ნება-სურვილი შეინარჩუნოს პროფესიული განვითარების მაღალი დონე.

1. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.
2. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
3. ცენტრი მდებარეობს ქ. თბილისში ლუბლიანას ქ. N2/6.

### ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული პროგრამების წარმართვა;

ბ) სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

გ) საერთაშორისო სამედიცინო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა;

დ) სამეცნიერო ფორუმების (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი, კონგრესი, ყრილობა) ორგანიზაცია და მონაწილეობის მიღება;

ე) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა უწყებებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ვ) საექიმო სპეციალობებში, მომიჯნავე საექიმო სპეციალობებში და სუბსპეციალობებში დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების და უწყვეტი პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამების შიდა სააკრედიტაციო ექსპერტიზა, მათი განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

ზ) ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მოულოდნელად წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და პროფესიული საქმიანობის მიღმა დარჩენილი სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამებით უზრუნველყოფა;

თ) მაღალმთიანი, დაშორებული, საზღვრისპირა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით პრიორიტეტული რეგიონების სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ დეფიციტურ საექიმო სპეციალობებში გადამზადების, რეზიდენტურასთან გათანაბრებული სასწავლო პროგრამების და კურსების მომზადებისა და ამოქმედებისათვის ხელშეწყობა და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;

2. ცენტრი საქმიანობას ახორციელებს სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულების, მათ შორის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

## ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის ძირითადი ქვედანაყოფები განისაზღვრება უნივერსიტეტის სტრუქტურისა და სამტატო განრიგის შესაბამისად.

2. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების სამართლებრივი საკითხები რეგულირდება დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

### ცენტრის უფროსი

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. უფროსის შრომითი პირობები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

ცენტრის უფროსი უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის მიერ ცენტრის ფუნქციონირებისათვის გადაცემული ქონების მართვასა და დაცვას;

ბ) ცენტრის საორგანიზაციო მუშაობის (ორგანიზაციული, მატერიალურ-ტექნიკური, შიდა ღონისძიებები) დაგეგმვას და წარმართვას;

გ) მოთხოვნის შესაბამისად უნივერსიტეტისთვის ფინანსურ ან/და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარდგენას;

დ) სხვა საქმიანობის განხორციელებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება ცენტრის მიზნებს;

3. კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის უფროსი ცენტრს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობისას.

4. ცენტრი უზრუნველყოფს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიღების მსურველ პირებთან (რეზიდენტებთან, ექიმებთან, უმცროს ექიმებთან),

კანონმდებლობით გათვალისწინებულ კომპეტენციის ფარგლებში ხელშეკრულებების გაფორმებას.

### **ცენტრის თანამშრომლები.**

1. ცენტრის ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და ცენტრის თანამშრომლებს ცენტრის უფროსი წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.
2. ცენტრის თანამშრომლები ვალდებული არიან ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულონ მათზე უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ფუნქციები.

### **ცენტრის შემოსავლები**

1. ცენტრის შემოსავლებს წარმოადგენს მიმდინარე საქმიანობით (დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები და სხვა), ასევე სხვა შემოსავლები და წყაროები, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.
2. ამ დებულებით განსაზღვრული ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად უნივერსიტეტის დადგენილი წესით სარგებლობისათვის გადაეცემა ძირითადი და საბრუნავი საშუალებები.
3. ცენტრის ბალანსი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბალანსის შემადგენელ ნაწილს.

### **ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.